ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 171

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა №30-ში მდებარე 100.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა №30-ში მდებარე 100.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2023 წლის 10 აპრილის №23.502.574 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30, სართული 1, შენობა №2-ში მდებარე 100.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.501) და ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30, სართული 2-ზე მდებარე 49.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მზია ხონელიძის (პ/ნ. 35001036998), ნიაზი გაფრინდაშვილის (პ/ნ. 59002006443), უშანგი გაფრინდაშვილის (პ/ნ. 59002002007); გვანცა გაფრინდაშვილის (პ/ნ. 50001001089) და მაია გაფრინდაშვილისთვის (პ/ნ. 50001001090) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე